	მშობლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიურებისას სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. მშობლებს საშუალება აქვთ დაესწრონ ღია გაკვეთილებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს უკეთ დაინახონ მოსწავლეთა აკადემიური შედეგები. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა ღონისძიების ფოტო-მასალა, თუმცა სკოლის ვებგვერდზე გაშუქებული იყო მხოლოდ დაწყებითი საფეხურზე განხორციელებული რამდენიმე ღონისძიება. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ <u>დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია სკოლის ვებგვერდის, სკოლის სოციალური გვერდის განახლების თაობაზე, რაც უფრო მეტად წარმოაჩენს სასკოლო ცხოვრებას.</u> ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა ასევე დაწესებულების მიერ მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მესამე პუნქტის მიხედვით მშობლის მიერ სწავლის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი თვის 15 რიცხვამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლე ამოირიცხება სიიდან. აღნიშნული პუნქტი ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების კანონის 33.2 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად 1. კერძო სკოლა ვალდებულია ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მოსწავლეს დაასრულებინოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი; 2. კერძო სკოლა უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად. დაწესებულებამ ექსპერტებისგან მიიღო <u>რეკომენდაცია მშობლის ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე და დაიცვას მშობლის ინფორმირების კანონით გათვალისწინებული პროცედურები.</u> წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ფოკუსჯგუფებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • კლასების დამრიგებელთა სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სადამრიგებლო პროგრამა; • მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში; • ელექტრონულ ჟურნალი https://mariota.edupage.org/ • ინტერვიურება; • სკოლის ვებ-გვერდი; • სკოლის სოციალური ქსელი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა მარიოტას სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარების მექანიზმები, რომელიც ადგენს სკოლის აკადემიური საზოგადოებისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ინსტრუმენტებს და შეფასების პროცედურას. მისი მიზანია სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და შემდგომი გაუმჯობესების გზების დასახვა. ამისთვის ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: • სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი; • ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების ანალიზი და გათვალისწინება სასკოლო სასწავლო გეგმაში; • სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი; • გამოკითხის შედეგების გათვალისწინება ახალი სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას. სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით. სკოლაში ტარდება მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მთავარი და უშუალო მონაწილის, მოსწავლის ჩართულობას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პროცესში. ამ მიზნით ცალკეული საფეხურების მიხედვით ტარდება მოსწავლეთა გამოკითხვები სასწავლო წლის განმავლობაში. კლასის დამრიგებლებს ევალებათ ორგანიზება გაუწიონ ამგვარ გამოკითხვებს. როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება ახალი სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას. დაწესებულებამ წარმოადგინა მოსწავლეთ მიერ შევსებული კითხვარები, თუმცა მათი შინაარსობრივი ანალიზი ვერ წარმოადგინა. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გაუმჯობესებაზე ზრუნვა სკოლისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. წლის განმავლობაში სკოლაში ხორციელდება მასწავლებლების ურთიერთდასწრება, რომლის უკუკავშირი ხორციელდება ინდივიდუალურად. ამასთანავე სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ დირექტორი, დირექტორის მოადგილესთან ერთად ახორციელებს გაკვეთილებზე დაკვირვებას. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლაში არსებული მონიტორინგის სისტემა საშუალებას იძლევა მოხდეს სასწავლო პროცესის შეფასება და მისი შემდგომი გაუმჯობესების გეგმის შემუშავება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარების მექანიზმები; • მოსწავლეთა კითხვარები; • მშობელთა კითხვარები; • გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ბარათები; • პედსაბჭოს ოქმები; • SWOT ანალიზი; • მასწავლებლებთან ინტერვიურება; • დირექტორთან ინტერვიურება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა რიგი ტექნიკური შეცდომები. სასურველია დაწესებულებამ დოკუმენტების შემუშავება-წარმოებისას თავი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აარიდოს ტექნიკური უზუსტობების არსებობას. კერძოდ: • სკოლაში სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ამიტომ გაკვეთილების განრიგის აღწერისას ვერ იქნება გათვალისწინებული პირველი ცვლის შემთხვევები; • კათედრის დებულების მიხედვით კათედრაზე განსახილველ საკითხებს მიეკუთვნებოდა საგნის სწავლების მინიმალური ბარიერის დადგენა და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლე კლასების მიხედვით. დებულებაში დასაკორექტირებელია აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა; • სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოცდების ჩამონათვალში გამოტოვებულია ექსტერნატის გამოცდა. თუმცა დოკუმენტში აღწერილია რა შემთხვევაში ინიშნება ექსტერნატის გამოცდა; სასურველია სასკოლო ცხოვრების უკეთ წარმოჩენისთვის უფრო აქტიურად მოხდეს სხვადასხვა ინფორმაციის/აქტივობების სკოლის ვებგვერდზე განახლება.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: საკუთრება-697.74 კვ.მ; იჯარა- 389 კვ.მ.	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა მარიოტა მდებარეობს ქ.სენაკში, ზ. გამსახურდიას ქ.N117-ში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ შენობაში. ერთი შენობის მესაკუთრე თავად შპს სკოლა მარიოტაა, ხოლო მეორე შენობის მესაკუთრეა სენაკის მუნიციპალიტეტი, რომელსაც ფართი უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს ააიპ სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისათვის, ამ უკანასკნელს კი იჯარით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლისთვის აქვს გადაცემული შენობა N1 -დან 389 კვ.მ. იჯარის ვადად ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულია 2019 წლის 16 ოქტომბერიდან - 2024 წლის 16 ოქტომბრამდე პერიოდი. შენობის იმ ნაწილს, რომელშიც სკოლა ფუნქციონირებს, აქვს ცალკე შესასვლელი და იზოლირებულია შენობის დარჩენილი ნაწილისაგან, რომელშიც სენაკის N6 ბაგა-ბაღია (იხ.დანართი-ფოტო N1). ასევე გამიჯნულია ღობით სკოლის ეზო ბაგა-ბაღის ეზოსაგან. გარდა ამისა, სკოლა აღნაგობის უფლებით ფლობს 415 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთს, რომელზედაც აქვს ვალდებულება, 2024 წლამდე მოაწყოს სპორტული მოედანი და დამხმარე შენობა-ნაგებობა. დამხმარე შენობის სახით სკოლას აშენებული აქვს საპირფარეშოები მოსწავლეთათვის და პერსონალისთვის (იხ. დანართი-ფოტო N2), თუმცა, სპორტული მოედნის მშენებლობა სკოლას დაწყებული (ვიზიტის პერიოდში) არ აქვს. აღნაგობის ხელშეკრულება გაფორმებულია 2014 წლის 24 ივლისს და მოქმედებს 2024 წლის 24 ივლისის ჩათვლით. სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის წერილი, რომლითაც ის ითხოვს იჯარისა და აღნაგობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას, რაზედაც დაწესებულებას საპასუხოდ მოეთხოვა ფართის საიჯარო ღირებულების დადგენა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ვიზიტის პერიოდში ზემოთ აღნიშნული დასკვნა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.
ფაქტობრივი მისამართი	ქ.სენაკი, ზ.გამსახურდიას ქ.117
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**N 44.01.32.020- საკუთრება ;** **N 44.01.32.071- აღნაგობა;**
კვ.მ.	**596 კვ.მ - საკუთრება;** **415 კვ.მ- აღნაგობა**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• საჯარო რეესტრის ამონაწერი; • იჯარის ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• აღნაგობის ხელშეკრულება;
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის 14 საკლასო ოთახი, ოთახებში განლაგებულია 290 ერთადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამით. ასევე ყველა საკლასო ოთახში არის მასწავლებლისთვის განკუთვნილი მერხი და სკამი, დაფები და სხვა მატერიალური საშუალებები. ამის გარდა, სკოლას დასაწყობებული აქვს 60 ერთეული მერხი და სკამი. შენობაში არის ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი და სხვა დამხმარე სათავსოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საბუღალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააჩნია ფართი, რომელსაც საჭიროების მიხედვით იყენებს სააქტო დარბაზად და ასევე სპორტულ დარბაზადაც. სკოლას აქვს სხვადასხვა სპორტული ინვენტარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საბუღალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლას შემენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	კომპლექტი. ლაბორატორია განთავსებულია შენობის მეორე სართულზე მცირე ფართის ოთახში, კარადებსა და თაროებზე. ფართის სიმცირის გამო პრაქტიკული მეცადინეობები ამ ოთახში ვერ ტარდება. დირექტორის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში ცდები ტარდება საკლასო ოთახში. <u>სკოლას მიეცა რჩევა ლაბორატორია გადაიტანოს ისეთ ოთახში, სადაც განლაგებული იქნება მოსწავლეთა შესაბამისი რაოდენობის მერხები და სკამები, რათა მათ შეძლონ ლაბორატორიით სარგებლობა.</u> <u>ამასთანავე დაცული უნდა იყოს ქიმიკატების შენახვის წესები.</u> (იხ.ფოტო N3, N4)
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საბუღალტრო დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლის საკუთრებაში არსებულ შენობაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობა, ხოლო იჯარით აღებული შენობის საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია კონდიციონერები, ადმინისტრაციული ოთახების გათბობა ხდება ელექტროღუმელით. ყველა საკლასო ოთახში და კაბინეტში დამონტაჟებულია ელექტრონათურები. ეზოში დამხმარე შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გოგონების, ბიჭების, პერსონალისათვის და სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლა წარმოადგენს დამოუკიდებელ აბონენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საბუღალტრო დოკუმენტაცია; • ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1489 ერთეულს. მათ შორის ყველა კლასის გრიფირებული სახელმძღვანელო და მხატვრული ლიტერატურა, სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნების სათანადო გვერდებზე დასმულია სკოლის ბეჭედი, თუმცა საინვენტარო ნომრები მინიჭებული არ აქვს. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს წიგნებისთვის საინვენტარო ნომრების მინიჭება და წიგნების დამუშავება აწარმოოს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საინვენტარო წიგნი; • ვიზუალური დათვალიერება; • საბუღალტრო დოკუმენტაცია; • ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. სკოლის ორივე შენობაში კიბეებზე მოწყობილია პანდუსები. ასევე სკოლას მოწყობილი აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში სულ 19 კომპიუტერია. ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 17 კომპიუტერი. აქედან 9 პერსონალური კომპიუტერი და 8 ლეპტოპი. <u>სკოლამ ვერ შეძლო 6 ლეპტოპის ფლობის დოკუმენტაციის წარმოდგენა,</u> დირექტორის განმარტებით სკოლამ აღნიშნული ლეპტოპები შეიძინა mymarket-ზე. სკოლაში ასევე არის პრინტერები და ქსეროქსები. სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებგვერდი www.mariota.ge. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, შინაგანაწესი, წესდება, ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმები, აუცილებელი საკონტაქტო ინფრომაცია. სკოლას აქვს ელ-ფოსტა. სკოლის ვებ-გვერდზე ორგანიზებულია სიახლეებისა და განხორციელებული პროექტების სივრცე, თუმცა გაშუქებულია მხოლოდ დაწყებითი საფეხურის აქტივობები. <u>სკოლამ მიიღო რეკომენდაცია ვებგვერდზე სიახლეების უფრო აქტიურად განთავსების შესახებ.</u> დაწესებულება იყენებს ელექტროულ ჟურნალს ,,edupage.org“. სკოლაში არის Wi Fi.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საბუღალტრო დოკუმენტაცია; • ინტერნეტ პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულება; • სკოლის ვებგვერდი https://mariota.ge/; • სკოლის ელექტრონული ჟურნალი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა ვიზიტის დროს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში განთავსებულია ცეცხლმაქრები, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით. ასევე არ არის განთავსებული გასასვლელის მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია განათავსოს ცეცხლმაქრების რაოდენობა ახალი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, შეიმუშაოს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი და საევაკუაციო გეგმის თანახმად დაამონტაჟოს გასასვლელის მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საბუღალტრო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, თუმცა გეგმები შემუშავებულია წლების წინ და დღეის მდგომარეობით არ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ის N3 დანართით (ევაკუაციის გეგმის შედგენის წესი) განსაზღვრულ მოთხოვნას. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ზემოთ აღნიშნული რეგლამენტის შესაბამისად საევაკუაციო გეგმების დამზადება და გამოკვრა.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საევაკუაციო გეგმები;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“. აღნიშნული წესით რეგულირდება, სკოლის ექიმის მიერ მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული სამედიცინო მომსახურეობის წესი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ექიმი არ ჰყავდა. დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის 16 ივნისის ბრძანება ექიმთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, პირადი განცხადების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოსწავლეს/პერსონალს მეორე შენობაში მოუწევს მაღალ კიბეებზე ასვლა და შემდეგ დამატებით კიდევ მეორე სართულზე ასვლა. აღნიშნული მოცემულობა შეუსაბამობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან (იხ. დანართები: ფოტო N5, N6, N7, N8). **<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ით.</u>** კერძოდ, სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა მოიყვანოს შესაბამისობაში ზემოთ აღნიშნულ ბრძანებასთან. რეკომენდებულია მოწყობილი იყოს შენობის ყველაზე დაბალ სართულზე, ფიზიკურად მარტივად მისადგომ ტერიტორიაზე, გადაუდებელი შემთხვევის დროს სამედიცინო კაბინეტში პაციენტის მარტივად შეყვანა-გამოყვანის (მათ შორის საკაცით) შესაძლებლობის გათვალისწინებით; გამოაცხადოს სკოლის ექიმის ვაკანსია. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში შეიძინა ბრძანებით გათვალისწინებული მედიკამენტები და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა. ასევე გამოაცხადა ექიმის ვაკანსია. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ექიმის მიერ წარმოებული ჟურნალი მოსწავლეთა და პერსონალის მიმართვიანობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საბუღალტრო დოკუმენტაცია; • სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა ,,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი წესი. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეემუშავებინა ზემოთ აღნიშნული წესი. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გააგზავნა სკოლის მიერ შემუშავებული წესი შესათანხმებლად</u>. ექპერტთა ვიზიტის დროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში; • სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი(პროექტი).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად ვერ კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება არ ხდება კიბის უჯრედებში, დერეფნებში (იხ. ფოტო N9, N10), ასევე პირველი და მეორე სართულის ფოიეში. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 3 კამერა. თუმცა ეზოში სველ წერტილამდე მისასვლელი გზის მონაკვეთი არ კონტროლდება (იხ. დანართი: ფოტო N11, N12).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია სრულად უზრუნველყოს შიდა პერიმეტრის (ორივე შენობაში ყველა დერეფანი და კიბის უჯრედი) და გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლი.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საბუღალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს წესდება და შინაგანაწესი. **წესდებით** განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მართვის წესი, ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის **შინაგანაწესი** განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს; შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას; შრომითი ურთიერთობის პირობებს; შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს; დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს; მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს; დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს; შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით განსაზღვრულია დირექტორის უფლება, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობაზე, რაზედაც <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია ზემოაღნიშნული პუნქტი ამოიღოს შინაგანაწესიდან, შეიმუშავოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი</u> და იხელმძღვანელოს აღნიშნული წესით, რათა არ მოხდეს მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის გამჟღავნება მესამე პირთან. შინაგანაწესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია, რომ ,,სკოლის მასწავლებლები სამუშაოზე მიიღებიან საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გასაუბრების გზით“, რაც წინააღმდეგობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან“. **<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოიყვანოს ეს მუხლი კანონთან შესაბამისობაში.</u>**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება; • სკოლის შინაგანაწესი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში (2021-2027 წლები) არ ჩანს სტრატეგიული მიზნები. სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული გეგმის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანა მოხდეს წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით. ასევე გეგმის შემუშავების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემდგომში გრძელვადიანი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები, რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება, შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა; • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • SWOT ანალიზი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ერთიანი საქმისწარმოების წესი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. საქმისწარმოების დროს, სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლიდან. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში იწარმოება 2 სახის ბრძანებები: საერთო და საკადრო. თითოეული სახის ბრძანება რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში. საქმისწარმოების წესის მიხედვით სკოლა ასევე ახდენს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციას; მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების რეგისტრაციას. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები; • შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; • ხელშეკრულებების სარეგისტრაციო შესაბამისი ჟურნალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ერთიანი საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია განათავსოს ახალი საევაკუაციო გეგმით განსაზღვრული რაოდენობის ცეცხლმაქრები; 2. სკოლამ უზრუნველყოს ახალი საევაკუაციო გეგმების დამზადება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-ის N3 დანართით (ევაკუაციის გეგმის შედგენის წესი) განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად; 3. სკოლას მიეცა რეკომენდაცია იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ით და უზრუნველყოს სკოლაში ექიმის არსებობა. ასევე **რეკომენდებულია** სამედიცინო კაბინეტი მოწყობილი იყოს შენობის ყველაზე დაბალ სართულზე, ფიზიკურად მარტივად მისადგომ ტერიტორიაზე, გადაუდებელი შემთხვევის დროს სამედიცინო კაბინეტში პაციენტის მარტივად შეყვანა-გამოყვანის (მათ შორის საკაცით) შესაძლებლობის გათვალისწინებით; 4. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სრულად უზრუნველყოს შიდა(ორივე შენობაში ყველა დერეფანი და კიბის უჯრედი) და გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლი.
რჩევები:	• სკოლას მიეცა რჩევა ლაბორატორია გადაიტანოს ისეთ ოთახში, სადაც განლაგებული იქნება მოსწავლეთა შესაბამისი რაოდენობის მერხები და სკამები, რათა მათ შეძლონ ლაბორატორიით სარგებლობა. ამასთანავე დაცული უნდა იყოს ქიმიკატების შენახვის წესები; • სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული გეგმის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანა მოხდეს წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით. ასევე გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემდგომში გრძელვადიანი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესრულების ინდიკატორები, რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება; • სასურველია სკოლის ვებგვერდზე სიახლეების უფრო აქტიურად გაშუქება;
ხარვეზები:	1. არასაკმარისი რაოდენობის ცეცხლმაქრები; 2. სტანდარტთან შეუსაბამო ევაკუაციის გეგმები; 3. სკოლას არ ჰყავს ექიმი. სამედიცინო კაბინეტი საჭიროებს მოწყობას 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების No41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. 4. დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის ბრძანება N06/ნ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ: შიდა და გარე პერიმეტრი სრულად არ კონტროლდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით.
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა მარიოტას სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის ჰყავს შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 30 პედაგოგთან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში. სკოლის ტექნიკური პერსონალია: ბუღალტერი, საქმისწარმოებელი, სკოლის ექიმი (ვიზიტის დროს ექიმი სკოლას არ ჰყავდა, 16.06.2022 წლიდან გათავისუფლებულია პირადი განცხადების საფუძველზე),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკარი, დარაჯი, 2 დამლაგებელი. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის ვაკანტურ ადგილზე. ყველასთან გაფორმებულია ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • eSchool-ის ბაზა; • შინაგანაწესი; • საშტატო განრიგი; • 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	30
მოწვეული/მაძიებელი	1
პრაქტიკოსი მასწავლებლი (უსტატუსო)	1
უფროსი მასწავლებლი	28
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილ მასწავლებელთა პირად საქმეებში დევს დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციისა და/ან მინიჭებული სტატუსების შესახებ. <u>მათ შორის არ არის ცნობა- საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების კანონის“ 33-1 მუხლით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.</u> ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია აღნიშნული ცნობის წარდგენის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რამდენიმე თანამშრომელს პირად საქმეში არ ჰქონდა შინაგანაწესით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, თუმცა დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა მათი სრულყოფილი პირადი საქმე. აღნიშნული პირადი საქმეებისა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების გადამოწმების მიხედვით სკოლას ჰყავს 28 უფროსი მასწავლებელი, 1 მაძიებელი და 1 მასწავლებელი სტატუსის გარეშე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვსიტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი უსტატუსო მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე (http://teacherjobs.ge/).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები; • შრომითი ხელშეკრულებები; • სასკოლო სასწავლო გეგმა. • საშტატო განრიგი; • eSchool-ის ბაზა; • სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა მარიოტას შემუშავებული აქვს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი, რომელიც განმარტავს რეგულირების სფეროს, მოიცავს ინფორმაციას კონკურსის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, კონკურსის პრინციპების შესახებ. მასში აღწერილია კონკურსის გამოცხადების პროცედურა, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენის და კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები. თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>სკოლა მარიოტას ნაცვლად დასახელებულია სხვა სუბიექტი.</u> დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია ტექნიკური შეცდომების გამოსწორების შესახებ. თუმცა, ვიზიტის დროს დაკორექტირებული დოკუმენტი არ წარმოდუგენია. შინაგანაწესი განსაზღვრავს სკოლაში შრომით ურთიერთობებს და თანამშრომელთა მიღების წესს. (მუხლი 6); სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება/გამოუცხდებლობის შეტყობინების წესს (მუხლი 7); შვებულების ხანგრძლივობიის, მიცემის წესს და შრომითი ურთიერთობების შეჩერების მექანიზმებს (თავი III, მუხლი 8, 9, 10, 11, 12). შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების ფორმები და მათი გამოყენების წესი (მუხლი 13, 14). შინაგანაწესის მეოთხე თავი აზუსტებს დისციპლინარული წარმოების წესს, დისციპლინურ გადაცდომებს და მისთვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელების ჩამონათვალს. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. აღნიშნული წესები ასევე ასახულია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული წესების გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი; • შინაგანაწესი; • შრომითი ხელშეკრულებები; • საშტატო განრიგი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომითი ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, სხვა პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 2021 წლის პირველ სექტემბერს 1 წლის ვადით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები <u>სტატუსის მითითების გარეშე, რაც ეწინააღმდეგებოდა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს.</u> ვიზიტის დროს დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია ხელშეკრულების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები; • შინაგანაწესი; • პირადი საქმეები; • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა მარიოტაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული განვითარების დებულება“, რომელიც ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: 1. სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნა; 2. სასკოლო კვლევა: მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა, სპეციალური კითხვარის შედგენა; 3. სკოლის ადმინისტრაციის მიერ მასწავლებელზე დაკვირვება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასება (კლასის მართვა, გაკვეთილის გეგმა და სხვა); 4. მარეგულირებელი დოკუმენტების, პროგრამების განხილვა - შესწავლა; 5. თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის, ინტეგრირებული და ერთობლივი გაკვეთილების ჩატარება და ანალიზი, ურთიერთგამოცდილების გაზიარება; 6. პედაგოგებისთვის სკოლის ბაზაზე ისტ-ის ტრენინგი, როგორც კიდევ ერთი საშუალება პროფესიული განვითარებისთვის; 7. მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა საგნობრივ ტრენინგში (სკოლა უფლებამოსილია ჩაერთოს განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, პროექტებსა და ტრენინგებში და უზრუნველყოს მათში მასწავლებელთა მონაწილეობა, მათი თანხმობის შემთხვევაში.) სკოლამ წარმოადგინა „გაკვეთილის დასწრების ანგარიშები“, რომელშიც ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი გაკვეთილზე დასწრების შემდგომ აღწერს გაკვეთილის სიტუაციას, შემდეგ მასწავლებელს აძლევს შესაბამის უკუკავშირს და რეკომენდაციებს. გარდა ამისა, მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგს. რაც შეეხება მასწავლებელთა საჭიროებების დადგენას სპეციალური კითხვარის შემუშავების გზით, სკოლის მიერ წარმოდგენილი კითხვარის მიხედვით შეუძლებელია მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა. ინტერვიუირებისას სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების შესახებ, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პროფესიული განვითარების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც რჩევა მიეცა სკოლას იზრუნოს სკოლის ყველა თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლებისა) პროფესიულ განვითარებაზეც, ასევე სკოლამ მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა შემდგომში აწარმოოს ისეთი კითხვარის გამოყენებით, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათი ანალიზის საფუძველზე დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პროფესიული განვითარების დებულება; • გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების ამსახველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტაცია; • სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება; • პედაგოგებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. აკადემიური აქტივობების პარალელურად ხორციელდება აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობა, სხვადასხვა ღონისძიებები, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება ეძლევა მონაწილეობით გამოხატოს საკუთარი იდენტობა და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, პედაგოგებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება და გაკვეთილების შეფასება, სიახლეების გაზიარება და ერთმანეთთან თანამშრომლობა. ინტერვიურებისას ერთ-ერთმა ახალმა თანამშრომელმა დაწესებულების ძლიერ მხარედ დაასახელა სკოლაში დამკვიდრებული მიდგომა ახალგაზრდა კადრებისათვის ცოდნის გაზიარებისა და პროფესიულ წინსვლაში ხელშეწყობის მიზნით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მოსწავლეებიც და მშობლებიც ხაზგასმით საუბრობდნენ სკოლაში არსებულ პოზიტიურ და თანამშრომლობით ატმოსფეროზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კონკურენციის პირობებშიც კი სკოლის ადმინისტრაცია ახერხებს კადრების შენარჩუნებას, რაც დიდწილად განპირობებულია სკოლაში არსებული ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემოთი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო პროექტები და ღონისძიებების ანგარიშები და მათი ამსახველი ფოტომასალა; • გასაუბრება მოსწავლეებთან; • გასაუბრება მშობლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გასაუბრება პედაგოგებთან; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლას მიეცა რჩევა იზრუნოს სკოლის ყველა თანამშრომლის (გარდა მასწავლებლებისა) პროფესიულ განვითარებაზეც, ასევე სკოლამ მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა შემდგომში აწარმოოს ისეთი კითხვარის გამოყენებით, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათი ანალიზის საფუძველზე დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენცია.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი #1. ფოტომასალა
დანართი #2. ფოტომასალა
დანართი #3. ფოტომასალა
დანართი #4. ფოტომასალა
დანართი #5. ფოტომასალა
დანართი #6. ფოტომასალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დანართი #7. ფოტომასალა
დანართი #8. ფოტომასალა
დანართი #9. ფოტომასალა
დანართი #10. ფოტომასალა
დანართი #11. ფოტომასალა
დანართი #12. ფოტომასალა

(შევსების ადგილი) ქ.თბილისი

თარიღი 22.07.2022წ.

გვერდების რაოდენობა **53**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.